პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# ლელო

საქართველოს სსრ სპორტულ საზოგადოებათა და ორგანიზაციების კავშირისა და პროფკავშირთა საქართველოს რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО

Орган Союза спортивных обществ и организаций Грузинской ССР и Грузинского республиканского совета профсоюзов

21

კვირა,

1961 წ.

№ 63 (1699)

გამოცემის მე-17 წელი

ფასი 3 კაპ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ქვეყნის სპორტული ამბები

## უნგრეთი

ამ დღეებში ბუდაპეშტში გაიმართება ტრადიციული საერთაშორისო ტურნირი თანამედროვე ხუთჭიდში, რომელიც სპორტის ამ სახეობაში მოსკოვში მოწყობილი მორიგი მსოფლიო პირველობის გენერალური რეპეტიცია იქნება.

უნგრეთის სახალხო რესპუბლიკის დედაქალაქში გამართულ შეჯიბრებაში სხვებთან ერთად მონაწილეობას მიიღებენ სსრ კავშირის ძლიერესი ხუთჭიდელები.

△

## შვეიცარია

შვეიცარიაში გაემგზავრა საბჭოთა კავშირის მოფარიკავეთა ნაკრები გუნდი, რომელიც მონაწილეობას მიიღებს ქალაქ ლუგანოში მოწყობილ ტრადიციულ საერთაშორისო შეჯიბრებაში — „ოქროს დაშნა“. გუნდის შემადგენლობაშია არიან მსოფლიოსა და სსრ კავშირის ჩემპიონი, რომის ოლიმპიური თამაშების პრიზიორი ბრუნო ხაბაროვი, რომის ოლიმპიური თამაშების პრიზიორი გურამ კოსტავა, არნოლდ ჩერნუშევიჩი, ვალენტინ ჩერნიკოვი, დიმიტრი ლიულინი და ვალერი კაზარევიჩი.

△

## ნორვეგია

მაისის ბოლო რიცხვებში ოსლოში (ნორვეგია) მიემგზავრება საბჭოთა სპორტული (ტანვარჯიში) დელეგაცია, რომელიც დაესწრება ნორვეგიის — ტანვარჯიშული ფედერაციის 100 წლისთავის ზეიმს და მონაწილეობას მიიღებს ამ თარიღისადმი მიძღვნილ შეჯიბრებაში.

სპორტულ დელეგაციას ხელმძღვანელობს სსრ კავშირის დამსახურებული მწვრთნელი გ. ჰილაია. ტანმოვარჯიშეთა შეჯიბრებაში სხვებთან ერთად მონაწილეობას მიიღებს სპორტის ოსტატი ნ. მაკალათია.



# იოკოჰამამდე დარჩა 13 დღე

ვლადივოსტოკი. (ჩვენი სპეც. კორესპ.). როგორც ცნობილია, 2-8 ივნისს იაპონიის უდიდეს ქალაქ იოკოჰამაში დაიწყება მსოფლიო პირველობა კლასიკურ და თავისუფალ ჭიდაობაში. ეს შეჯიბრება დღეს მთელი სპორტული სამყაროს ყურადღების ცენტრში დგას.

რომის ოლიმპიურმა თამაშებმა დიდად არ შესცვალა ძალთა თანაფარდობა მსოფლიოს მოწინავე გუნდებს შორის. ჭიდაობის ამ ორივე სახეობაში წამყვანი პოზიციები მტკიცედ უპყრიათ ხელთ საბჭოთა კავშირის, თურქეთის, ირანის, ბულგარეთისა და იაპონიის მოჭიდავეებს. რომის ოლიმპიადის სიურპრიზს წარმოადგენდა ამერიკის შეერთებული შტატების მოჭიდავეთა დიდი წარმატება: ამიტომ დღეს ისინი ჩემპიონატის ერთ-ერთ მთავარ ფავორიტებად ითვლებიან.

ჩემპიონატისათვის ნაყოფიერად ემზადებიან სხვადასხვა სახელმწიფოთა ეროვნული ნაკრები გუნდები. ჩვენთვის, მაგალითად, ცნობილი გახდა, რომ იაპონელ მოჭიდავეებს ამზადებს წარსულში სახელგანთქმული მოჭიდავე, ოლიმპიური თამაშებისა და მსოფლიოს ჩემპიონი ს. სასახარა. გულმოდგინედ ემზადებიან თურქეთის, ირანის, აშშ-სა და სხვა ქვეყნების ნაკრები გუნდები და რასაკვირველია, საბჭოთა მოჭიდავეებიც.

უკვე დადგინდა გუნდების ძირითადი შემადგენლობა. კლასიკურ ჭიდაობაში ჩვენი ქვეყნის ღირსებას დაიცავენ წონითი კატეგორიების მიხედვით: ა. საიადოვი, ო. კარავაევი, მ. ლუდუშაური, ა. ქორიძე, ი. როოტსი, ვ. ზენინი, ა. ტკაჩოვი, ი. ბოგდანი. კარგ სპორტულ ფორმაშია მსოფლიოს ექსჩემპიონი რ. აბაშიძე, რომელიც ჯერჯერობით ნაკრების შემადგენლობაში მეორე ნომრად ითვლება. თავისუფალ ჭიდაობაში საბჭოთა კავშირის ნაკრების შემადგენლობა ასე გამოიყურება: ა. ალიევი, მ. შახოვი, ვ. რუბაშვილი, ვ. სინიავსკი, მ. ბეკმურზოვი, გ. გობეჯიშვილი, ბ. გურევიჩი და ს. მედვედი. მეორე ნომრად ნაკრების შემადგენლობაში გამოდიან ზ. შეყრილაძე, რ. ჯლამაძე და გ. სალარაძე.

აღსანიშნავია, რომ ზემოჩამოთვლილი შემადგენლობა ნაკრების უკანასკნელი ვარიანტი არ არის. ჩემპიონატისათვის მზადების უკანასკნელ ეტაპზე მოსალოდნელია ცვლილებები, იმ ანგარიშით, რომ დადგინდეს გუნდის საბოლოო და საუკეთესო ვარიანტი.

ვ. ბალავაძე,
სპორტის დამსახურებული ოსტატი, სსრ კავშირის ნაკრები გუნდის მწვრთნელი.

• • •

სურათზე: საბჭოთა კავშირის ნაკრები გუნდის წევრები საქართველოდან ვლადივოსტოკის სპორტის სასახლის წინ.

## ფეხბურთი

### გათამაშების ცხრილი

მდგომარეობა 21 მაისისათვის

I ქვეჯგუფი

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| „ტორპედო“ მ. | 7 | 6 | 0 | 1 | 11:4 | 12 |
| „ავანგარდი“ ხ. | 7 | 4 | 2 | 1 | 8:5 | 10 |
| „ნეფტიანიკი“ ბ. | 8 | 3 | 4 | 1 | 10:8 | 10 |
| სკა როსტ. | 7 | 4 | 1 | 2 | 16:7 | 9 |
| „ლოკომოტ“. მ. | 7 | 2 | 4 | 1 | 9 9 | 8 |
| „ადმირალტ“. ლ. | 7 | 3 | 1 | 3 | 8:6 | 7 |
| „დინამო“ თბ. | 7 | 3 | 1 | 3 | 8:8 | 7 |
| „ტრუდი“ ვორ. | 7 | 1 | 3 | 3 | 4:6 | 5 |
| „დაუგავა“ რ. | 7 | 1 | 3 | 3 | 7:10 | 5 |
| „შახტიორი“ სტ. | 8 | 0 | 4 | 4 | 4:13 | 4 |
| „სპარტაკი“ ვ. | 7 | 0 | 3 | 4 | 4:12 | 3 |

• • •

ვილნიუსი. 19 მაისი. აქ შედგა მორიგი მატჩი სსრ კავშირის პირველობაზე ფეხბურთში „ა“ კლასის გუნდებს შორის. თამაშობდნენ „სპარტაკი“ (ვილნიუსი)-„დაუგავა“ (რიგა).

მატჩი დამთავრდა ფრედ — 0.0.

★



ამას წინათ მოსკოვში ჩატარდა ჩვენი ქვეყნის უძლიერეს მოცურავეთა შეჯიბრება. 100 მეტრზე ბრასის სტილით ცურვაში ვაჟთა შორის თავი ისახელა არმიელმა ნ. კოლესნიკოვმა, რომელმაც დაამყარა ახალი მსოფლიო რეკორდი — 1.11,4.

• • •

სურათზე: ლ. კოლესნიკოვი სარეკორდო გაცურვის შემდეგ ამოდის აუზიდან.

ფოტო ვ. ტუტოვისა.

★

# დამსახურებისათვის

საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებისა და საქართველოს კომპარტიის 40 წლისთავთან დაკავშირებით სსრ კავშირის სპორტულ საზოგადოებათა და ორგანიზაციების კავშირის ცენტრალურმა საბჭომ სამკერდე ნიშნით — „ფიზკულტურის წარჩინებული“—დააჯილდოვა პარტიული, კომკავშირული, პროფკავშირული, ფიზკულტურული მუშაკების დიდი ჯგუფი, რომელთა შორის არიან საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის მდივანი თ. ბადურაშვილი, საქართველოს კომპარტიის თბილისის ორგანიზაციის სტალინის სახ. რაიკომის მდივანი გ. გოშაძე, საქართველოს კომპარტიის თბილისის ორგანიზაციის ორჯონიკიძის სახ. რაიკომის მდივანი ვ. ხირაძე, საქართველოს პროფსაბჭოს მდივანი გ. ხეთაგური, მაუდ-კამვოლის კომბინატის ფიზკულტურის საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე ლ. ფხაკაძე, დოსააფის რესპუბლიკური კომიტეტის თავმჯდომარე, საბჭოთა კავშირის გმირი ვ. ნანეიშვილი და სხვები.

# კოლუმბის „აღმოჩენა“

კარგა ხანია დამთავრდა რომის ოლიმპიური თამაშები, სადაც საბჭოთა სპორტსმენებმა ბრწყინვალე წარმატება მოიპოვეს. ახლა იაპონიის დედაქალაქი ემზადება მსოფლიოს უძლიერეს სპორტსმენთა მორიგი ფორუმისათვის, 1964 წელს.

მაგრამ მსოფლიოს პრესაში ჯერ კიდევ იბეჭდება წინა ოლიმპიადის შედეგებისადმი მიძღვნილი წერილები, ქვეყნდება აგრეთვე მომავალი ოლიმპიადის პროგნოზები.

მაგრამ თურმე ტოკიოს პროგნოზები ჯერ მეტისმეტად ნაადრევი საქმეა, ვინაიდან ჯერ კიდევ მიმდინარეობს რომის ოლიმპიური თამაშების შედეგების შეჯამება (!). შეჯამება და მერე როგორი! ახლა ბავშვმაც კი იცის, რომ რომში საბჭოთა სპორტსმენებმა ქულების დიდი განსხვავებით გაუსწრეს უახლოეს მეტოქეებს — ამერიკის წარმომადგენლებს. საქვეყნოდ ცნობილია, რომ ჩვენმა სპორტსმენებმა მოიპოვეს 103 (43 ოქროს, 29 ვერცხლის, 31 ბრინჯაოს) მედალი, მაშინ როცა ამერიკელებმა მხოლოდ 71 მედლის დაგროვება შეძლეს.

ჩვენი და ამერიკის შეერთებული შტატების სპორტსმენებს შორის ქულებისა თუ მედლების ასეთ დიდ სხვაობას მათემატიკურ მეცნიერებაში ახალი „გადატრიალება“ კი ვერაფერს დააკლებს. მაგრამ აი გამოჩნდნენ ადამიანები, რომლებიც ცდილობენ მეორე ამერიკა აღმოაჩინონ.

ახალი „კოლუმბი“ გამოჩნდა ამერიკულ გაზეთ „ტრიდენტის“ ფურცლებზე, რომლის სპორტულმა მიმომხილველმა ნამდვილად „გაათეა“ მსოფლიო. მან გამოაცხადა, რომ რომის ოლიმპიურ თამაშებში საბჭოთა კავშირს კი არ მოუპოვებია პირველი ადგილი. არამედ ამერიკის შეერთებულ შტატებს. მკითხველს ალბათ გაუკვირდება, არითმეტიკის რომელ სახელმძღვანელოდან ისარგებლა ზემოაღნიშნულმა მიმომხილველმა, როცა ეს „არაჩვეულებრივი“ გაანგარიშება მიიღო. მაგრამ აღმოჩნდა, რომ იგი როგორც სპორტში, ისე არითმეტიკაშიც ნაკლებად ჩახედული ყოფილა და გეოგრაფიის მოშველიებით ცდილა ოლიმპიურ თამაშებში „რევოლუციის“ მოხდენას. მან საბჭოთა კავშირის გუნდი დაჰყო 2 ნაწილად. თურმე რომის ოლიმპიურ თამაშებში მონაწილეობდნენ რუსეთისა და უკრაინის გუნდები, ამიტომ მან მედლები და ქულები ორად გაანაწილა და ამგვარად პირველ ადგილზე გაიყვანა თავისი ქვეყანა (!).

ამერიკელ სპორტულ მიმომხილველს ალბათ დაავიწყდა, რომ რომის ოლიმპიურ თამაშებში რუსსა და უკრაინელ სპორტსმენებს გარდა მონაწილეობდნენ ბელორუსი, ქართველი, ლატვიისა და სხვა მოძმე რესპუბლიკების წარმომადგენლები. სწორედ ასეთმა ძმურმა კოლექტივმა შეძლო გამარჯვების მოპოვება.

მაშ, თუ ასეა საქმე, აშშ-ს ოლიმპიურ შედეგებს ჩვენ 49 ნაწილად გავყოფთ, ვინაიდან ოლიმპიურ თამაშებში ალბათ მათი 49 შტატის წარმომადგენელი მონაწილეობდა. მაგრამ ასეთი უაზრობა შეიძლება? ჩვენ ხომ ჭეშმარიტი სპორტული პაექრობის მოყვარულები ვართ და არა მისი შემბღალველები.

# შავი კონტინენტი და ოლიმპიური მოძრაობა

წლიდან წლამდე, მეორე მსოფლიო ომის დამთავრების შემდეგ, აფრიკაში იზრდება კოლონიური უღლისაგან გათავისუფლებული სახელმწიფოების რიცხვი. ამ პროცესმა აშკარა ასახვა ჰპოვა საერთაშორისო ოლიმპიურ მოძრაობაშიც.

1952 წლის ოლიმპიურ თამაშებში აფრიკის მხოლოდ 4 სახელმწიფოს სპორტსმენები მონაწილეობდნენ, 1956 წელს — ექვსი სახელმწიფოსი, ხოლო გასული, 1960 წლის რომის ოლიმპიადაზე წარმოდგენილი იყო უკვე 12 სახელმწიფო.

შავი კონტინენტის მონაწილეობამ, ცხადია, თავისი „კორექტივები" შეიტანა საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის შემადგენლობაშიც. 1960 წლამდე კომიტეტში აფრიკას არ წარმოადგენდა არც ერთი წევრი, ხოლო ახლა მისი უკვე ორი წარმომადგენელია ამ მოყვარულთა საერთაშორისო ორგანიზაციაში — კენიისა და არაბეთის გაერთიანებული რესპუბლიკის ა. მაგრამ ეს წვეთია ზღვაში...

საერთაშორისო ოლიმპიურ კომიტეტში აღმოჩნდნენ ადამიანები, რომლებიც აფერხებენ გათავისუფლებული აფრიკის ოლიმპიური მოძრაობის ოფიციალურ ცნობას. ამის მიუხედავად, ეს მოძრაობა ფართოდ და ღრმად იკიდებს ფეხს კონტინენტზე. საკმარისია ითქვას, რომ არაბეთისა და კენიის გარდა ოლიმპიური კომიტეტები შეიქმნა სომალიში, სპილოს ძვლის ნაპირზე, მალიში, ზედა ვოლტაში, გაბონში, გვინეის რესპუბლიკაში, მალგაშის რესპუბლიკაში, სენეგალში, ტოგოში, ცენტრალური აფრიკისა და ჩადის რესპუბლიკაში და ა. შ. ეროვნული კომიტეტები იქმნება ჯერ კიდევ დამოკიდებულ აფრიკულ სახელმწიფოებშიც კი, როგორიცაა უგანდა, ტანგანიკა და სხვ.

## რასიზმი კვლავ მძვინვარებს

სამხრეთ აფრიკის კავშირი რასიზმის ყველაზე უფრო აღვირახსნილი ციტადელია მთელს კონტინენტზე. ეს სამარცხვინო პოლიტიკა შავი ჭირივითაა მოდებული ამ ქვეყნის ცხოვრების ყველა სფეროში — სოციალურში, ეკონომიურში, სპორტულში...

ამას წინათ სამხრეთ აფრიკის კავშირის სპორტის მესვეურებმა ხმაურიანი რეკლამით ამცნეს მსოფლიოს „დემოკრატიული" გარდაქმნები სპორტში; „ამიერიდან შავ სპორტსმენებს შეუძლიათ საერთაშორისო შეჯიბრებებზე და კერძოდ, ოლიმპიურ თამაშებზე დაიცვან სამხრეთ აფრიკის ღირსება, — ირონიულად წერს ამ „დემოკრატიზმის" გამო ფრანგული ჟურნალი „ოზ ეკუტი", — მაგრამ, რომ არ შეილახოს არც თეთრებისა და არც შავების ინტერესები — სამხრეთ აფრიკელმა ხელისუფლებმა დაადგინეს გარკვეული „შეფარდება". ამის მეოხებით თეთრ და შავ სპორტსმენებს არ შეეძლებათ ერთმანეთთან შეხვედრა ისეთ შეჯიბრებებში, როგორიცაა კრივი და გუნდური თამაშები. ეს გააქარწყლებს შესაძლებელი ინციდენტების საფუძველს და მაშასადამე, თავიდან აიცილებს მაყურებელს აუცილებლად მიემხროს ერთ-ერთ მხარეს მისი კანის ფერის მიხედვით..."

როგორც იტყვიან, კომენტარები ზედმეტია.

ლელო

ფე-2 ფ3. № 63 (1699)



მეოცე საუკუნე აფრიკის საუკუნეა! მთელს მსოფლიოში მოარულ ამ თქმას სავსებით რეალური და მტკიცე საფუძველი აქვს. იღვიძებს შავი კონტინენტი! იღვიძებს, ფეხზე წამოდგომას ლამობს და თავისი ძლიერი მკლავით გლეჯს ბორკილებს, რომლებიც მას საუკუნეთა განმავლობაში ედო.

ჯერ კიდევ სულ მცირე ხნის წინ, მეორე მსოფლიო ომის დამთავრების შემდეგ, აფრიკაში მხოლოდ-დამხოლოდ 4 დამოუკიდებელი სახელმწიფო იყო. 1960 წლისათვის მათი რაოდენობა 10 გახდა; და აი, გავიდა ერთი წელიც და დღეისათვის თავისუფალი აფრიკული სახელმწიფოების ოჯახს უკვე ოცდაათამდე წევრი შეადგენს.

აფრიკა იბრძვის! შავ კონტინენტზე გადახლართული კოლონიალური ჯაჭვი სულ უფრო მეტ ადგილას წყდება და დღითი-დღე ქუცმაცდება. აფრიკა იბრძვის! ცეცხლით ბრიალებს ალჟირის მიწა-წყალი; ცეცხლს ებრძვის კონგო; ნახანძრალიდან წარმოსდგნენ ეგვიპტე და ეთიოპია, მაროკო და ტუნისი...

აფრიკა იბრძვის ყველა ფრონტზე!

ჭეშმარიტად რევოლუციური გარდაქმნები ხდება ახლა აფრიკის იმ ქვეყნების სპორტულ და ფიზკულტურულ მოძრაობაში, რომლებმაც კოლონიური მონობის უღელი გადაიგდეს. სპორტის სფეროშიც ისმის ბორკილების მსხვრევის ხმა, სპორტის სფეროშიც იწყება გათავისუფლების პროცესი! ახალ, მასობრივ საფუძველზე გადადის სპორტული მოძრაობა არაბეთის გაერთიანებულ რესპუბლიკაში, გვინეის რესპუბლიკაში, განაში და მთელ რიგ სხვა თავისუფალ აფრიკულ სახელმწიფოებში. ეს მოვლენა კარგად დაახასიათა გვინეის რესპუბლიკის პრეზიდენტმა სეკუ ტურემ, რომელიც გვინეის სპორტის მოყვარულთა ასოციაციის დამფუძნებელ კონფერენციაზე გამოვიდა. „ჩვენი ბაზა მთელი ნაციაა, ხოლო ჩვენი იმედი — ახალგაზრდობა!" — თქვა მან.

და არა მარტო სიტყვები...

აფრიკის უფრო განვითარებული ქვეყნების მაგალითზე, თავისებური ნაციონალიზაცია მიმდინარეობს პატარა და ჯერ მოუმაგრებელ სახელმწიფოებშიც. გასული წლის უკანასკნელ თვეებში ბობოქარი ამბები მოხდა სომალის, განისა და კამერუნის სპორტულ ცხოვრებაში. ამ ქვეყნებში დათხოვნილ იქნა ყველა ძველი, პრივილეგირებული სპორტული კლუბი და დაიწყო ეროვნული ასოციაციების შექმნა. ახლა ამ დათხოვნილი სპორტული კლუბების ბაზები ფართოდ გაიხსნა ადგილობრივი მოსახლეობისათვის.

აფრიკა იბრძვის! მაგრამ, ისევე როგორც პოლიტიკასა და ეკონომიკაში, კულტურასა და მთელ რიგ სხვა სფეროებში, XX საუკუნის ისტორიის ბორბლის ტრიალს სპორტის სფეროშიც ებღაუჭებიან და მის შეჩერებას ლამობენ ბნელი იმპერიალისტური და კოლონიზატორული ძალები. აფრიკის კონტინენტზე ჯერ კიდევ არის ბევრი ადგილი, სადაც რასობრივი დისკრიმინაცია მძვინვარებს და ეს დისკრიმინაცია სპორტშიც აღწევს.

თავიანთი პოლიტიკის გატარებას ლამობენ საერთაშორისო იმპერიალიზმისა და კოლონიალიზმის ძალები მოყვარულთა სპორტის საერთაშორისო ორგანიზაციებშიც, კერძოდ, საერთაშორისო ოლიმპიურ კომიტეტში. ისე, როგორც ეგვიპტის ქალაქებზე წამოსული ინგლისური ყუმბარები, როგორც ფრანგული ხიშტები მებრძოლი ალჟირის მიწაზე, როგორც ბელგიელ და ამერიკელ კოლონიზატორთა მიერ დანთებული ცეცხლი კონგოში, აქაც პარპაშებს ბინძური პოლიტიკის შედეგები, რომლის ძალითაც დღემდე არ უშვებენ საერთაშორისო ოლიმპიური ორგანიზაციის რიგებში ახალგაზრდა აფრიკული სახელმწიფოების — მალის, სომალის, სპილოს ძვლის ნაპირის, ზედა ვოლტის, გვინეის, კონგოს, ნიგერიისა და სხვათა ეროვნულ ოლიმპიურ კომიტეტებს.

მაგრამ დრო, ისტორიის ლოგიკა თავისას გაიტანს.

აფრიკა იბრძვის და იმარჯვებს!
აფრიკა გაიმარჯვებს სპორტშიც!



## სამშობლოსაკენ მოუწევთ გული

ცენტრალური აფრიკის თითქმის ყველა ქვეყანაში, დათხოვნილი პრივილეგირებული სპორტული კლუბების ნაცვლად, გაიხსნა პროფკავშირთა სპორტული კლუბები, რომლებშიც დღითიდღე სულ უფრო მეტი ახალგაზრდა აფრიკელი ერთიანდება. მაგრამ, აფრიკის ახალგაზრდობის ფიზიკური წრთობისა და სპორტული დაოსტატების ნამდვილი მასობრივი კერებია აქაური კოლეჯები, სკოლები და უნივერსიტეტები, რომელთა კარები ფართოდ გაიღო შავკანიანებისათვის.

ყოველივე ეს უკვე საკმაო საფუძველია აფრიკის ქვეყნებში ოლიმპიური მოძრაობის აღმოსაცენებლად და მას უკვე დაედო კიდეც სათავე — აფრიკის ოცამდე სახელმწიფოში უკვე შექმნილია ოლიმპიური კომიტეტები. ბევრ სახელმწიფოში დაიწყო სპორტული ბაზების მშენებლობა, ხოლო არაბეთის გაერთიანებულ რესპუბლიკაში, გვინეასა და ეთიოპიაში უკვე მოქმედებს ამ ბაზათა მთელი კომპლექსი, რომლებსაც შეუძლიათ იტვირთონ ეროვნული სპორტის მასობრივი განვითარების ამოცანები.

უკვე ტრადიციად დამკვიდრდა ცენტრალური აფრიკის ოთხი სახელმწიფოს შეჯიბრება სპორტის რამდენიმე სახეობაში; აქ სტარტზე პირველად გამოვიდნენ აფრიკელი ქალები.

აფრიკაში გაშლილი სპორტული მოძრაობის ექო სხვა კონტინენტებზეც გაისმა. ცნობილია, რომ „შავი კონტინენტიდან" კოლონიზატორები მხოლოდ ოქროს, ვოლფრამისა და სხვა სიმდიდრეების გატანას კი არ სჯერდებოდნენ, არამედ აქაურ გამოჩენილ სპორტსმენებსაც იყენებდნენ მეტროპოლიების ინტერესებისათვის. ახლა ევროპასა და ამერიკაში ამ დაკარგული შვილების გასაგონადაც გაისმის „შავი დედის" ხმა „პროფესიონალებო — სამშობლოში"! ამ მოწოდებას არა ერთი და ორი გამოჩენილი შავი სპორტსმენი გამოეხმაურა და თავისი მშობლიური ქვეყნისაკენ გასწია.



როგორც ცნობილია, მოსკოვის „დინამოს" ფეხბურთელები გასულ წელს მეგობრული ვიზიტით იყვნენ აფრიკის ქვეყნებში. ეს დიდი სპორტული მოვლენა იყო აფრიკის სპორტული წრეებისათვის.

**სურათზე:** განის პრეზიდენტი კვამე ნკრუმა მიესალმება საბჭოთა ფეხბურთელებს.

## პოტენციური ფენომენი

**აფრიკას** სპორტულ წრეებში ხშირად უწოდებენ „პოტენციურ ფენომენს", „მთვლემარე ნიჭს". ამას თავის საფუძველი აქვს...

ტროპიკულ ჯუნგლებში, და არა მარტო იქ, ცხოვრობენ მრავალგვარი ტომის ზანგები. ბევრი მათგანის ფიზიკური მონაცემები პირდაპირ გაოცებას იწვევს. ასე, მაგალითად, რუანდა-ურუნდის ოლქში მცხოვრები ტომის ზანგთათვის თითქმის არავითარ სიძნელეს არ წარმოადგენს ორ მეტრზე მეტი სიმაღლის დაძლევა. არსებობს ლეგენდა, თითქოს ამ ზანგებს წეს-ჩვეულებანი უკრძალავდეს სამშობლოდან გასვლას; მაგრამ ცივილიზაცია თავის შედეგებს მოიტანს და ალბათ, უახლოეს წლებში ამ ტომის წარმომადგენლებიც გამოჩნდებიან საერთაშორისო ასპარეზზე... სპორტულ საზოგადოებრიობაში ცნობილია უამრავი სხვა ფაქტიც, რომლებიც მეტყველებენ აფრიკელთა იშვიათ მონაცემებზე.

ყოველივე ეს მხოლოდ თეორიულად როდია ცნობილი. ევროპისა და ამერიკის არა ერთმა სპორტსმენმა უკვე საკუთარ ტყავზეც გამოცადა, თუ რას ნიშნავს აფრიკელთან ასპარეზობა; აი, თუნდაც, ცოტა ხნის წინათ ნიგერიელმა ომაგბემმა 100 მეტრზე რბენაში უკან ჩამოიტოვა ოლიმპიური თამაშების პრიზიორი, ინგლისელი პ. რედფორდი და აჩვენა შედეგი 10,4. ოლიმპიურ თამაშებზე, სპეციალისტთა ყოველგვარი პროგნოზების საპირისპიროდ, მაროკოელმა ა. რხადიმ და განელმა ქ. ქვარტეიმ მეორე ადგილები მოიპოვეს და ვერცხლის მედლებიც დაისაკუთრეს. მაგრამ, რომის ოლიმპიურ თამაშებზე აფრიკელთა მიერ შეთავაზებული სენსაციების გვირგვინი იყო მანამდე სრულიად უცნობი აბებე ბიკილას გამარჯვება, რომელმაც პირველი ოლიმპიური ოქრო მოუტანა თავის „შავ დედას" — ეთიოპიას. სულ ახლახან, 8 მაისს, აბებემ კვლავ დაამტკიცა რომში მოპოვებული გამარჯვების კანონზომიერება: სოფელ მარათონში გამართულ ტრადიციულ საერთაშორისო შეჯიბრებაზე იგი მთელი დისტანციის მანძილზე ლიდერობდა რბენას, უკან ჩამოიტოვა ბელგიელი ო. ვანდენდრისე, უნგრელი ბ. სალაი, სხვა უძლიერესი მარათონელებიც და პირველი იყო ფინიშთან შესანიშნავი შედეგით — 2:23.44,6. აღნიშნული სპორტსმენების გარდა აფრიკას საერთაშორისო მასშტაბის გამარჯვებები მოუხვეჭეს მსოფლიო პირველობათა, ხმელთაშუა ზღვის თამაშებისა და სხვა საერთაშორისო შეჯიბრებების ჩემპიონებმა და პრიზიორებმა: ჰასან ალ-ბადრაუიმ, ქიამალ მურადმა, ჯეიმს კროუდმა და სხვ.

ეს გამარჯვებები ძირითადად მოპოვებულია მხოლოდ აფრიკის მკვიდრთა ფიზიკური მონაცემების საფუძველზე. ადვილი მისახვედრია, თუ რა სიურპრიზებს გვიქადის „პოტენციური ფენომენი", როცა მის მიწა-წყალზეც დამკვიდრდება ყოველდღიური სპორტული მეცადინეობისა და წვრთნის ნამდვილი სისტემა!..

ეროვნული
ბიბლიოთეკა

# ჯ. ცერცვაძეს გააქვს 9 ბურთი

საქართველოსა და უნგრეთის ხელბურთელთა ნაკრები გუნდების განმეორებითი შეხვედრის დამთავრების შემდეგ ჩვენი გაზეთის წარმომადგენელმა სთხოვა უნგრელთა მწვრთნელს რ. ბოლას გამოეთქვა თავისი აზრი განვლილი მატჩების შესახებ. მან თქვა: „ჯერ კიდევ პირველ მატჩში დავრწმუნდი, რომ ჯ. ცერცვაძის სახით საქართველოს გუნდში არის საერთაშორისო კლასის სპორტსმენი, რომელიც შეუდარებლად ფლობს ბურთის კარში ტყორცნის ტექნიკას ყველა მდგომარეობიდან. ამიტომაც განმეორებითი შეხვედრის წინ ჩვენს გუნდს ამოცანად დავუსახე როგორმე უვნებელეყო იგი. შეხვედრის პირველ ნახევარში ეს ამოცანა თითქმის შესრულებულ იქნა, მაგრამ მეორე ნახევარში ჯ. ცერცვაძემ მაინც მიაგნო „დერეფანს“ ჩვენს დაცვაში და მოედანი დაგვატოვებინა როგორც დამარცხებულებს. სამაგიეროდ კმაყოფილი ვართ ამ მეტად კორექტული, დრამატული მომენტებით აღსავსე მატჩისა“.

და მართლაც, საქართველოს ხელბურთელებმა ერთხელ კიდევ ისახელეს თავი. თუ შეხვედრის დასაწყისიდან პირველი ნახევრის დამთავრებამდე მატჩი გარდამავალი უპირატესობით მიმდინარეობდა (იგი დამთავრდა ფრედ 9:9), ხოლო შესვენების შემდეგ ორი ბურთით წინ გავიდნენ სტუმრები, მატჩის 38-ე წუთიდან ინიციატივას ისევ მასპინძლები დაეუფლნენ. უნდა აღინიშნოს, რომ საქართველოს ხელბურთელები იერიშებს აგებდნენ ცერცვაძეზე, მის გარდა ყველა გაურბოდა გადამწყვეტ ტყორცნას, რაც სტუმრებს ერთგვარად უადვილებდა ბრძოლას, მაგრამ გუნდის ხარვეზს ასწორებდა საბჭოთა კავშირის ნაკრების წევრი.

ჯ. ცერცვაძე ხელიდან არ უშვებდა კარის აღების მცირე შემთხვევასაც კი და საქართველოს გუნდის მიერ ამ მატჩში გატანილი 14 გოლიდან 9 მან გაიტანა. მისმა მოხდენილმა, ელვისებურმა ტყორცნებმა ბევრი სიამოვნება განაცდევინა სპორტის სასახლეში შეკრებილ ათასობით მაყურებელს.

საქართველოს ხელბურთელებმა მოიგეს ეს შეხვედრაც — 14:13.

△



**სურათზე:** უნგრელი და ქართველი ხელბურთელები ერთმანეთს მიესალმებიან.

ფოტო მ. ზარგარიანისა.

# ორი ჩემპიონი ქუთაისიდან

**საქართველოს** მიმდინარე წლის პირად-გუნდური პირველობა ფარიკაობაში მნიშვნელოვნად განსხვავდება წინა წლებში ჩატარებული ღონისძიებებისაგან: გუნდურ შეჯიბრებაში ტოლფასოვანი კოეფიციენტით მონაწილეობენ მოზარდი სპორტსმენები, რამაც მოფარიკავეთა რაოდენობა სარეკორდო რიცხვამდე (150 სპორტსმენი) გაზარდა.

შეჯიბრება დაიწყეს დაშნით მოფარიკავეებმა. ფინალში მონაწილეობის მისაღებად 4 სპორტის ოსტატი და 19 პირველთანრიგოსანი ჩაება ბრძოლაში, რომელთაგან განსაკუთრებულად გამოიჩინა თავი აფხაზეთის წარმომადგენელმა დ. ჯავახაძემ. მან არა მარტო შეძლო ფინალში გასვლა, არამედ მესამე საპრიზო ადგილიც დაიკავა და უკანასკნელ შეხვედრაში დაამარცხა სპორტის ოსტატი რ. გოშაძე. ეს უკანასკნელი კი დაუმარცხებლად გადიოდა პირველ ადგილზე და ახლა ჩემპიონის სახელი მხოლოდ სულამანიძესთან დამატებითი ბრძოლის მოგების შედეგად მოიპოვა.

ამ იარაღით მებრძოლ ჭაბუკთა შორის თავი ისახელეს ქუთაისელმა მ. კვანტალიანმა და თბილისელმა ვ. ბაბუხადიამ. ისინი კარგად გამოვიდნენ თბილისში ახლახან გამართულ მოფარიკავეთა საერთაშორისო შეხვედრაში და ამ შეჯიბრებაშიც დაამტკიცეს თავიანთი ოსტატობის სტაბილურობა. საქართველოს ჩემპიონობა მოიპოვა მ. კვანტალიანმა, რომელიც არ დამარცხებულა არც წინასწარ და არც ფინალურ შეხვედრებში.

დაშნით მოფარიკავეთა გუნდურ შეხვედრაში ცხადი იყო თბილისის პირველი გუნდის უპირატესობა დანარჩენ მეტოქეებზე. ამ კოლექტივმა ერთნაირი ანგარიშით 6:3 დაამარცხა თბილისის მეორე გუნდისა და ქუთაისის მოფარიკავეები, ანგარიშით 8:1 სძლია ზესტაფონელთა კოლექტივს და დაიკავა პირველი ადგილი. მომდევნო ადგილზე გამოსულმა თბილისის მეორე გუნდმა მინიმალური ანგარიშით (5:4) მოუგო ქუთაისელ მოფარიკავეთა გუნდს და „მშრალი“ ანგარიშით (9:0) დაამარცხა ზესტაფონელები.

თუ მოზრდილ მოფარიკავეთა გუნდურ შეჯიბრებაში თბილისის პირველი გუნდი ერთი თავით მაღლა იდგა დანარჩენებზე, ჭაბუკთა შეხვედრებმა მოლოდინი არ გაამართლა და დედაქალაქის პირველმა გუნდმა ფინალურ შეჯიბრებაში ყველა შეხვედრა წააგო. საერთოდ, მოზარდ მოფარიკავეთა შერჩევა გუნდებში დიდ დაკვირვებას მოითხოვს და ეს კარგად უნდა გაითვალისწინონ ჩვენმა მწვრთნელებმა საპასუხისმგებლო შეჯიბრებათა წინ.

დარჩენილი გუნდებიდან ქულათა თანაბარი რაოდენობა დააგროვეს თბილისის II, ქუთაისისა და აფხაზეთის გუნდებმა. მათგან გამარჯვებათა თანაბარი რაოდენობა აღმოაჩნდათ ქუთაისისა და თბილისის II გუნდის მოფარიკავეებს. მიღებულ ჩხვლეტათა უკეთესი შეფარდებით ჩემპიონობა ქუთაისელებს მიეკუთვნათ.

რაც შეეხება მოფარიკავე ქალთა შეჯიბრებას, უნდა აღინიშნოს, რომ საბჭოთა კავშირის ხალხთა პირველი სპარტაკიადის შემდეგ საქართველოს მოფარიკავე ქალთა ფინალური ჯგუფი თითქმის უცვლელია და მათი ცვლაც არა ჩანს. ეს იმის ნიშანია, რომ ქალთა ჩაბმა სპორტის ამ სახეობაში, მათი წვრთნა დღევანდელ მოთხოვნებს ვერ აკმაყოფილებს. მაღალ დონეზე ჩაატარა შეჯიბრება და საქართველოს 1961 წლის ჩემპიონობა მოიპოვა სპორტის ოსტატმა ჯ. გიორგაძემ. მომდევნო ადგილებზე გამოვიდნენ თბილისელი სპორტის ოსტატები გ. გორდაძე და ლ. ფანჩვიძე.

გოგონათა შეჯიბრებაში წარმატებით გამოვიდა ქუთაისელი მ. სვანიძე, რომელმაც ერთადერთი დამარცხება განიცადა თბილისელ დ. კუტივაძესთან შეხვედრაში და მეორედ მოიპოვა საქართველოს ჩემპიონის საპატიო წოდება. ამ შეჯიბრებაზე ეს უკვე მეორე ჩემპიონია ქუთაისელთა კოლექტივიდან მეორე და მესამე ადგილებზე გამოვიდნენ ნ. ვაშაკიძე და ზ. ლორთქიფანიძე (ორივე თბილისიდან).

გოგონათა გუნდურ შეჯიბრებაში პირველობა მოიპოვა თბილისის მეორე კოლექტივმა, რომელმაც ყველა მოწინააღმდეგე დაამარცხა. მეორეზეა თბილისის პირველი და მესამეზე — ქუთაისის მოფარიკავეთა გუნდი.

შეჯიბრება დღეს დამთავრდება.

ტ. მესხი,
გ. სამსონაძე.



## საქართველოს პირველობა ფარიკაობაში

# ფინალი ბორჯომში

რესპუბლიკური სპარტაკიადის პროგრამით გათვალისწინებული ფეხბურთელთა შეჯიბრების ფინალი შედგა ბორჯომში, სადაც ერთმანეთს შეხვდნენ ფიზკულტურის ინსტიტუტისა და გორის ბამბეულის კომბინატის გუნდები.

თამაში თავიდანვე საინტერესოდ წარიმართა. სტუდენტების შედარებით მაღალ ტექნიკას გორელებმა დაუპირისპირეს ენერგიული ბრძოლა მთელს მინდორზე. განსაკუთრებით კარგად ითამაშეს გორის გუნდის დაცვამ და მეკარემ.

32-ე წუთზე ადამიამ (ფიზკულტურის ინსტიტუტი) ხელით ითამაშა თავის საჯარიმო მოედანზე და გორელებმა კარგად გამოიყენეს პენალტი (მჭედლიშვილი) — 1:0. პირველი ტაიმი დამთავრდა ამ ანგარიშით.

59-ე წუთზე გორელთა კარში დაინიშნა საჯარიმო დარტყმა. ადამიამ გამოისყიდა თავისი შეცდომა და გაათანაბრა ანგარიში — 1:1. მცირე ხანს შემდეგ შავდიამ და აპრესიანმა კიდევ თითო ბურთი გაიტანეს და ანგარიშით 3:1 გაიმარჯვა ფიზკულტურის ინსტიტუტის გუნდმა, რომელმაც მოიპოვა სპარტაკიადის ჩემპიონის წოდება.

# მოზარდთა შეჯიბრება

თბილისის „ბურევესტნიკის“ სტადიონზე ამ დღეებში შედგა რესპუბლიკური შეჯიბრების ფინალი „ა“ და „ბ“ კლასების ოსტატთა კოლექტივებთან არსებული გუნდებისა და ბავშვთა საფეხბურთო სკოლებისათვის.

ფინალში ერთმანეთს შეხვდნენ ახალგაზრდობის საფეხბურთო სკოლის (მწვრთნელები ვ. ელოშვილი და დ. ბაქანიძე) და სკოლა-ინტერნატის (მწვრთნელები ა. ზაზროევი და თ. კუბლაშვილი) გუნდები. საინტერესო თამაში დამთავრდა ანგარიშით 3:1 ახალგაზრდობის საფეხბურთო სკოლის გუნდის გამარჯვებით.





ეს ფოტოსურათები წარმოადგენენ საქართველოს მხატვართა საიუბილეო გამოფენის ექსპონატებს, რომლებიც სპორტულ თემატიკაზე არიან აგებულნი. მარცხნივ თქვენ ხედავთ დ. ერისთავის ფერწერულ ნაწარმოებს — „კალათბურთი“; მარჯვნივ — ველომრბოლელთა უკანასკნელი ჯგუფიც მიეფარება მოსახვევს, მას კი მანქანამ ულალატა... ამ ტილოს ავტორია გ. მაისურაძე.

ფოტო ი. იუნაევისა.

ლელო
მე-3 გვ. № 63 (1699)

# ლაშქრობა ყუროზე

ყაზბეგის რაიონის მუშა-მოსამსახურეებმა, კოლმეურნეებმა და მოსწავლე ახალგაზრდობამ კომკავშირის რაიკომის ხელმძღვანელობით მოაწყეს ალპინიადა ყუროს მწვერვალზე. იგი მიეძღვნა საბჭოთა საქართველოს 40 წლისთავს. აღსანიშნავია, რომ ალპინიადაში სხვებთან ერთად მონაწილეობა მიიღო პერსონალურმა პენსიონერმა 63 წლის ვანო მაჭარაშვილმა.

მიუხედავად კოკისპირული წვიმისა და ქარბუქისა, 70 კაცისაგან შემდგარმა ჯგუფმა გადალახა უღელტეხილი და მწვერვალი აიღო.

შ. მარსაგაშვილი.

## ნ. გაფრინდაშვილის საუკეთესო პარტია

ბათუმში ქალთა საერთაშორისო საჭადრაკო ტურნირში აჭარის დედაქალაქის გაზეთებმა, დაწესებულებებმა და სპორტულმა ორგანიზაციებმა დააწესეს ოცამდე სხვადასხვა სპეციალური პრიზი მონაწილეთათვის. პრიზი შეხვდა თითქმის ყველა მოჭადრაკეს.

ნ. გაფრინდაშვილმა მიიღო პრიზები ყველაზე მეტი მოგებისათვის, პირველი ადგილისა და საუკეთესო პარტიისათვის საერთაშორისო ოსტატ კ. ერეტოვასთან (ჩეხოსლოვაკია). ლამაზი პარტიისათვის პრიზი გადაეცა ე. კაკაბაძეს გერმანელ უ. ლიბერტთან მოგებულ პარტიაში. პრიზი საუკეთესოდ ჩატარებული იერიშისათვის ერგოთ საერთაშორისო ოსტატ ა. ნიკოლაუსს (რუმინეთი) და თ. ხუგაშვილს და ა. შ.

მოგვყავს ნ. გაფრინდაშვილის დაჯილდოებული პარტია.

**ნ. გაფრინდაშვილი—კ. ერეტოვა**

**ესპანური პარტია**

1. e4 e5 2. მf3 მc6 3. კb5 a6 4. კa4 მf6 5. 0—0 კe7 6. ეe1 b5 7. კb3 0—0 8. c3 d6 9. h3 მd7

ყველაფერი ეს ცნობილია თეორიაში ერეტოვა ირჩევს მ. ჩიგორინის ერთ მივიწყებულ სისტემას და სურს შეაზამოს უკვე გამობრძმედილ მეორეს.

10 d4 კf6 11. კe3 მa5 12 კc2 მc4 13. კc1 c5

აქაა სიახლე. შავები არ დგანან ცოდად.

14 b3 მb6 15. კe3 ლc7 16. მbd2 კb

შავებმა გააქეთეს მ. ჩიგორინის მეორე სისტემისათვის დამახასიათებელი სვლები, მაგრამ კონკრეტული ვითარების გაუთვალისწინებლად უკეთესი იყო 16.... d5. ახლა ქართველი ოსტატი ცენტრის ჩაკეტვით იგებს რამდენიმე ტემპს.

17 d5 a5 18 a3. (თეთრებისათვის არ არის ხელსაყრელი თამაშის გახსნა. ამიტომ) 18.... a4 19. b4 c4? ეს უკვე შეცდომაა. შავებმა თავისით თავისი კონტრთამაში. შემდეგი სვლები წარმოადგენენ იერიშის მომზადების პროცესს,

20. მf1 g6 21. g4 ლd8 22. მgh2 მgh8 23. ლd2 კc8 24. მg3 კg7 25. ეg1 ეg8 26 ეg2 ეb8 27. ეag1 მf6 28. კg5 ლf8 29 მh4 h6 30. კe3 ლd8

მდგომარეობა მომწიფდა გადამწყვეტი დარტყმის მისატანად. თეთრები მზადყოფნაში არიან თავს დაესხან შავების მეფეს. ერეტოვას თითო მხედარი და ეტლი მხოლოდ სეირის მოწმენი არიან.

31 g5 მh7 (თუ 31.... ლd7, მაშინ 32. მgf5 gf 33 მ:f5 უძლიერესი იერიშით) 32. მgf5 h5 (უკეთესი იქნებოდა 32.... hg 33. კ:g5 მ:g5 34. ე:g5 ეb7. თუმცა მაშინაც მძლავრია თეთრების იერიში) 33. ლe2 კf8 34. f4 (აფეთქებს შავების პოზიციას) 34.... ლe8 35. მg3 ef 36. კ:f4 კg7 37. კ:d6 ლd7 38. მgf5 (და არა 38. კ:b8 ლ:h3X) gf 39. e:f5 ეb7 40. ლ:h5 ლd8 41. e5 და ერეტოვა დანებდა, რადგან მe7 და ლ:h7X მუქარისაგან კარგი დაცვა არ ჩანს.

რაა ამ პარტიაში საუკეთესო? მისი მთლიანობა. საუცხოოდ გათამაშებულ დაწყებას ცენტრის ჩაკეტვის შემდეგ მოჰყვა რთული პოზიციური ბრძოლა. ამ დროს პარტიას წითელი ზოლივით მიჰყვება მხარეთა გეგმები: თეთრების იერიში მეფის ფრთაზე, ხოლო შავებისა — ლაზიერის ფრთაზე. მას შემდეგ (მე-19 სვლა), რაც კ. ერეტოვამ თავისით მოისპო აქტიური ბრძოლის საშუალება ლაზიერის ფრთაზე, პარტიამ „ცალ გოლში" თამაშის სახე მიიღო. გაფრინდაშვილმა იშვიათი ძალით დალაშქრა მეტოქის მეფის პოზიცია.

—მე, როგორც ესპანური პარტიის დიდ მოტრფიალეს, ნამდვილად მშურს ნონა გაფრინდაშვილის თამაში ამ პარტიაში, — განაცხადა საერთაშორისო ოსტატმა ლ. არონინმა — ეს პარტია დაამშვენებდა ოსტატი ვაჟების შემოქმედებასაც კი.

## „საბჭოთა აფხაზეთის" ჯილდოზე



ამ დღეებში სოხუმში გაიმართა ტრადიციული კომბინირებული ესტაფეტა გაზეთ „საბჭოთა აფხაზეთის" ჯილდოზე. ესტაფეტის ეტაპებზე მონაწილეობდნენ მორბენლები, ნიჩბოსნები, ველოსიპედისტები. შეჯიბრებაში მონაწილეობდნენ „დინამოს", „სპარტაკის", „განთიადის", სპორტული სკოლის, პედაგოგიური და სუბტროპიკული ინსტიტუტებისა და სხვა გუნდები. ისე, როგორც გასულ წლებში, ამჯერადაც პირველი ადგილი მოიპოვეს დინამოელებმა. ამ საზოგადოების პირველმა გუნდმა აჩვენა 17.04,4.

• • •

**სურათზე:** მორბენლები სოხუმის ქუჩებში.

ფოტო და ტექსტი ვ. სემიონოვისა.

### ფელეტონი

## კოსმოსი, ფეხბურთი და გულშემატკივარი

კარები გაუბედავად გაიღო.

— შეიძლება?—იკითხა ახალგაზრდამ.

— მობრძანდით!... ლექსი?..

— დიახ პატივცემულო რედაქტორო!

— სასიამოვნოა, ვნახოთ...—გაიღიმა, რვეული ჩამოართვა და გადაშალა.

თავზე მსხვილად ეწერა: „კოსმოსი და ფეხბურთი".

— რაო?!

— წაიკითხეთ და ყველაფერი ნათელი იქნება.

— კეთილი...—და რედაქტორის ხმა გაისმა:

„ჭადოსნობა და ზღაპარი,
ჩამოდნა როგორც ყინული,
ჭეშმარიტებამ აკურთხა
ეპოქა გაგარინული.
ბუმბერაზების მხარეა,
ვილას სწამს ძალა თილისმის...
რაღა ჩანს ამდენ წინსვლასთან
ტემპი „დინამო" თბილისის.

— დარიბული გამოთქმაა, უხერხულად ჟღერს...

— ჰმ...

„კოსმოსი გზებით დასერეს,
მოძველდა სიტყვა „ქვეითი"...
ფერმკრთალობს უავთანდილოდ
თამარიძის რეიდი".

— ეჰ, შოთა, შოთა!... სამწუხაროდ ასეა... აი აქ მარცვალს ვხედავ.

— მე კი წაგების მეტს ვერაფერს...

„ორბიტის ზუსტი გამოთვლით,
ბნელეთს ზღაპრულად
ქარგავენ...
მელაშვილი და ხუნდაძე
ათ მეტრში ურთერთს
კარგავენ".

— მართლაც, რა მოსდით, ვერ გამიგია!..

„იდუმალების შეცნობა
რა უკვდავებად გვესხურა...
ფხიზლად არაა ჩოხელი,
მესხი არ მესხობს მესხურად".

— ყოჩაღ! კარგია ეს ადგილი!..

„ბნელეთში გაინავარდე,
კვლავ მისამართით ბრუნდები...
სტადიონებზე ჩოჩქოლი,
უმისამართო ბურთები".

ამდენ წინსვლასთან ნეტავი,
ხშირად თუ არა, ხანდახან,
ჩვენი „დინამოს" თამაში
რაკეტის ტემპში გვანახა!"

— მეც ამას ვნატრობ... იქნებ გვეღირსოს!.. დაგიბეჭდავ,—თქვა რედაქტორმა.

ვ. ხიდეშელი

რედაქტორი ი. უგულავა




### ინგლისელები შესარჩევი მატჩის წინ

მიუხედავად იმისა, რომ ინგლისის ნაკრებმა, საყოველთაო აღიარებით, დაძლია ხანგრძლივი კრიზისი და კვლავ ერთ-ერთი უძლიერესია მსოფლიოში, მისი მწვრთნელი უოლტერ უინტერბოტომი მაინც დიდი სიფრთხილით ეკიდება მომავალ მატჩს ლისაბონში პორტუგალიელებთან (21 მაისს). ამჯერად ამ გუნდების ორმა შეხვედრამ უნდა გამოავლინოს მსოფლიო ჩემპიონატის ფინალის მონაწილე, რადგან ლუქსემბურგელებს სერიოზულად არავინ თვლის. უოლტერ უინტერბოტომი ესწრებოდა „ბენფიკასი" (რომელიც ნაკრების ბირთვია) და ავსტრიის ჩემპიონ „რაპიდის" შეხვედრას ლისაბონში, რის შემდეგ ჟურნალისტებს მოკლედ მოუჭრა: — „მეტად მძიმე ბრძოლის გადატანა მოგვიწევს".

ხანგრძლივი ძიების შემდეგ უინტერბოტომმა მიაგნო „მყარ შემადგენლობას", რომელიც ყველა რგოლში თანაბარია.

ამ დღეებში ინგლისის ნაკრებმა კონტინენტურ ევროპაში გამგზავრებამდე წინ ე. წ. „სპარინგ-მატჩი" ჩაატარა მექსიკის ნაკრებთან. მას შემდეგ, რაც მექსიკელებმა ამსტერდამში სძლიეს ჰოლანდიელებს, ისინი ინგლისელთა სახიფათო მეტოქეებად მიაჩნდათ, მაგრამ მოლოდინი არ გამართლდა (ამ მატჩში თავდასხმაში გრივსსა და სმიტს სცვლიდნენ კევანი (№ 8) და „ასტონ ვილას" ცენტრფორვარდი ჰიტჩენსი). მატჩი ვარჯიშს უფრო წააგავდა, ვიდრე სერიოზულ საერთაშორისო შეხვედრას. ინგლისელებმა გაიმარჯვეს — 8:0.

21 მაისს ინგლისელები ატარებენ თავიანთ მეორე მატჩს მსოფლიო პირველობის შესარჩევ ქვეჯგუფში (პირველი მათ მოიგეს ლუქსემბურგის სუსტ გუნდთან — 9:0. ამავე გუნდი ანგარიშით 6:0 დაამარცხეს პორტუგალიელებმაც). ლიდერთა შეხვედრამ უნდა გამოავლინოს ქვეჯგუფის ლიდერი. ამავე გუნდების მეორე, გადამწყვეტი შეხვედრა შედგება ლონდონში „უემბლეის" სტადიონზე, 25 ოქტომბერს.

### უ. ზეელერი „ინტერნაციონალეში"

მას შემდეგ, რაც ბრაზილიის პრეზიდენტის სპეციალური ბრძანების შემდეგ აიკრძალა პელეს გაყიდვა საზღვარგარეთ, მილანის „ინტერნაციონალემ" მოლაპარაკება გამართა „ჰამბურგერ შპორტფერაინის" ცენტრფორვარდ უ. ზეელერთან. ამ ფეხბურთელში „ინტერნაციონალემ" გადაიხადა 1,5 მილიონი მარკა (375 ათასი დოლარი). უ. ზეელერი მომავალი სეზონიდან 3 წლით ითამაშებს იტალიაში.

სპორტულ მიმომხილველთა აზრით ზეელერი ერთ-ერთი საუკეთესო ცენტრფორვარდია მსოფლიოში.

ზეელერი გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ნაკრების წამყვანი ფიგურაა და მისი იტალიაში გადასვლა დიდ სიძნელეებს უქმნის მწვრთნელ ზ. ჰერბერგერს. მართალია, „ინტერნაციონალე" პირობას იძლევა პერიოდულად გაათავისუფლოს ხოლმე უ. ზეელერი გფრ-ს ნაკრებში სათამაშოდ, მაგრამ ასეთ პირობას იტალიელები, როგორც წესი, არღვევენ ხოლმე.

### უ ყ უ რ ა დ ღ ე ბ ა!

22 მაისს, საღამოს 6 საათზე, საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტისა და თბილისის კომიტეტის ლ. კეცხოველის სახ. პოლიტიკური განათლების სახლის სალექციო დარბაზში (ლენინის ქ. № 35) შედგება საქართველოს სსრ პოლიტიკური და მეცნიერული ცოდნის გამავრცელებელი საზოგადოების თბილისის საქალაქო განყოფილებისა და საქართველოს სპორტულ საზოგადოებათა და ორგანიზაციების კავშირის პროპაგანდისა და აგიტაციის სახელოს კულტურის უნივერსიტეტის მორიგი მეცადინეობა.

ლექციას წაიკითხავენ:

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი ქ. ლომთათიძე, თემაზე: — „ქართული ენის სიწმინდის საკითხები". დოცენტი ი. ზამბახიძე, თემაზე: — „კორონების ყოველმხრივი აღზრდის შესახებ".

გაზეთ „ლელოს" რედაქციის კოლექტივი თანაგრძნობას უცხადებს ჭიდაობის ვეტერანს მიშიკო მაზმიშვილს (ციმაკურიძეს) და სპორტის დამსახურებულ ოსტატს დ. ციმაკურიძეს ცოლის და ბებიის ელისაბედ ქაიხოსროს ასულ ჯაფარიძე-ციმაკურიძის გარდაცვალების გამო.

გაზეთი გამოდის სამშაბათობით, ოთხშაბათობით, ხუთშაბათობით, შაბათობითა და კვირაობით. რედაქციის მისამართი: თბილისი, ელბაქიძის დაღმართი № 12, დეპეშებისათვის—თბილისი, „ლელო", ტელეფონები: რედაქტორის — 3-59-62, პასუხისმგებელი მდივნისა და განყოფილებების — 3-00-34, გამომშვების — 3.01.06.

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობის პოლიგრაფიული კომბინატი „კომუნისტი", თბილისი, ლენინის ქ. № 14. უე 01016